

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი „პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ“ და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

ამ გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სწორი დასკვნები გამოიტანა დადგენილებაში აღნიშნულ სერიოზულ ნაკლოვანებებიდან და შეცდომებიდან.


ეს დადგენილება ადასტურებს, იწონებს და, მაშასადამე, ამკვიდრებს საქართველოს პარტიულ ორგანიზაციასა და მთელ რესპუბლიკაში მიმდინარე პოზიტიურ პროცესებს თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების შესაბამისად.

ამ დოკუმენტში მაღალი შეფასება ეძლევა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობას.

რესპუბლიკის კომუნისტების, ყველა მშრომელის მთავარ ყურადღებას მიაპყრობს რა გადაუჭრელ საკითხებს, ცენტრალური კომიტეტის ივნისის დადგენილება, უთუოდ, გააადვილებს ბრძოლას ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებათა წინააღმდეგ და უზრუნველყოფს ახალი, უფრო რთული ამოცანების გადაწყვეტას.

ეს არის საქართველოს კომუნისტთა, ყველა მშრომელის ტიტანური შრომის შედეგი — პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებისა და პარტიული ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპების დამკვიდრებისათვის.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია ეწევა მრავალმხრივ მუშაობას სოციალისტური დისციპლინისა და საერთო საქმიანობის პასუხისმგებლობის განმტკიცებისათვის. წარმოებს შეურიგებელი ბრძოლა მეშხანური, წვრილბურჟუაზიული ფსიქოლოგიის რეციდივების, მომხვეჭელობის, მანევრული ზნეჩვეულებების, რელიგიური ცრურწმენის, ფორმალისმის, ცხოვრებისაგან მოწყვეტილ ელემენტებისა და სხვა ნაკლოვანებათა წინააღმდეგ. საჭიროა აქტიური ბრძოლა ბურჟუაზიული იდეოლოგიის შემოჭრის, კერძომესაკუთრული ტენდენციებისა და ადამიანთა შეგნებასა და ქცევაში წარსულის სხვა გადმონაშთების წინააღმდეგ.



ნახ. გ. ლომიძისა

— რამ ჩამოიყვანა ამდენი ხალხი?  
— გაიგეს, საქართველოში კლიმატი ბაჯანსაღლაო!



— „მუშავე წყალზე“ იყავი? იმ დღე-სვე მოგიხდა, ხომ?

— ვადასარეგია, რაღა ბორჯომი და რაღა ნაბელდავი! მხოლოდ სახელებშია განსხვავება და იმაში, რომ იქ მტკვარი ჩამოედინება, აქ — გუბაზეული. იქ უზარმაზარი კეთილმოწყობილი სანატორიუმები და დასასვენებელი სახლებია, აქ — კეთილმოწყობილი ქოხები და ხავსმოკიდებული ქვები.

— კი მაგრამ, შე კაი კაცო, ქოხებისა და ქვების მეტი ვერაფერი ნახე ამ მადლიან ქვეყანაში?

— როგორ არა, ბახმაროს თოვლიანი მთებიც ვნახე, ხვლიკი უმუხრუჭოდ რომ იმტვრევა ზედ და ახალი, 250-ადგილიანი სანატორიუმის კომპლექსის დამუხრუჭებული მშენებლობაც. მე კი მოვრჩი ამ შესანიშნავი ბუნების ცქერით, მაგრამ იმ მშენებლებს რა მოარჩენთ, ეს აღარ ვიცი.

— კი მაგრამ, რა სჭირთ მშენებლებს ამისთანა?

— აუტკივარი თავი აიტკივეს, სანატორიუმ „ნაბელდავის“ მშენებლობა დაიწყო. ახლა გული სტკივით, გულს კი ნაბელდავის წყალი ვერაფერს უხერხებს. ასე ამბობენ, მშენებლობა დაიწყო თუ არა, მაშინვე ფეხები ასტივდათო. მინერალური წყლის აბაზანები მიუღიათ და მორჩენილანო. ახლა დადიან, მაგრამ მოკლე ნაბიჯებს ადგამენ. უჭირთ ჩქარი სიარული, ფეხი ეშლებათ პირის შეშლისა, ავტოტრანსპორტისა, მექანიზაციისა და საშენი მასალების მკვეთრი უქმარისობის გამო.

მართლაც, სანატორიუმ „ნაბელდავის“ კომპლექსის დაუმთავრებელი მშენებლობა ჯერ კიდევ 1972 წელს დაიწყო დაიწყო, მაგრამ დამთავრებაზე არავის უფიქრია. მას მერე ბევრმა ცარიელმა ბოთლმა ჩაიარა ნაბელდავის მინერალური წყლის ჩამომსხმელ ქარხანაში, აივსო უკვდავების წყლით, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში მოწყურებულ კაცს მიაკითხა, წყურვი-

ლი მოუკლა, უმკურნალა და ისევ ცარიელი დაბრუნდა. დაბრუნდა და რას ხედავს! ვაცრეცილ-გახუნებულია მშენებლობა, საქმით არაფერი შეცვლილა, დაწყებული მშენებლობა ისევ დაწყებულსა ჰგავს. ასეთ მუშაობას, სულ რომ არ ვმუშაობდეთ, ის ჯობიაო, იფიქრეს ამ ობიექტის მშენებლობის მესვეურებმა და 1973 წელს მშენებლობა დააკონსერვეს... ტომატში კი არა, ვაკუუმში! მერე ისევ ჩაფიქრდნენ: ასე არ ივარგებსო და 1974 წელს კვლავ გახაახლეს გახუნებული მშენებლობა. გამოიყო თანხები, მაგრამ, სამწუხაროდ, არასაკმარისი. 1975 წელს მდინარე გუბაზეული, როგორც ყოველთვის, აჩქარებული მოედინებოდა, მშენებლობა კი ერთხელ დაბედებულ ბედსა თუ ტრადიციას არ ღალატობდა, მიმდინარეობდა, მაგრამ მდორედ, აუჩქარებლად. აბა, სად მიეჩქარებოდა?! 1976 წელსაც ამ თანხამოკლებულ მშენებლობას ისევ და ისევ მშენებლობა ჰქვია..

დავინტერესდით და ადგილზე გავჩინდით. მოვიხახულეთ მთებს შუა ჩამალული სანატორიუმის ჩანასახი. საძირკვლიდან სოკოსავით თავამოყოფილი რამდენიმე სვეტი და ფიცრულში თავშეფარებული, უმექანიზაციოდ, უტრანსპორტოდ, უთანხოდ შთენილი მშენებლობის სამუშაოთა უფროსი მწარმოებლის ტიტულის მქონე არკადი მგალობლიშვილი.

— რამდენი თანხაა საქირო სანატორიუმ „ნაბელდავის“ კომპლექსის მშენებლობის დამთავრებისათვის?

— მილიონ რვაასი ათასი მანეთი. — იყო პასუხი.

— 1972-76 წლებში სულ რამდენი თანხა გამოიყო?

— ხუთი წლის განმავლობაში გამოიყოფილია 710 ათასი მანეთი, რაც მთლიანი თანხის ნახევარზე ნაკლებია, მაგრამ ამ თანხიდან, მხოლოდ 59 ათასია ათვისებული. ასე რომ, საშველი არსაით ჩანს, თუ მიმდინარე წლის მეო-

რე ნახევარში რაიმე მსაწყურლო მსაქმ მოხდება და მშენებლობას სერიოზული ხასიათი არ მიეცემა. დაფინანსება და ტემპი მშენებლობის მასულდგმულებელი ფაქტორებია. ჰოდა, თუ ასეთ ტემპსა და დაფინანსებას დავეყრდნობით, უბრალო ართიმეტიკის საშუალებით უნდა ვივარაუდოთ, რომ სანატორიუმ „ნაბელდავის“ მწყობრში ჩადგომას 1986 წელს ვიზიგებთ. — აჰას მცირედი ჩაღობებ-ჩამოღობება მოჰყვება და მერე დაემატა, — ცოტა გაბედულად ვამბობთ, ვაითუ ამ თარიღმაც იქით გადაიწიოსო.


პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის მიხედვით შენობა უნდა აგებულიყო რკინა-ბეტონის კონსტრუქციებით. საქმიდან კი ჩანს, რომ „საქკურორტმშენის“ ტრესტს რკინა-ბეტონის კონსტრუქციების მომზადების და მისი ადგილზე მიწოდების საშუალება არ გააჩნია. ამიტომაც მუშაობა მიმდინარეობს პრიმიტიული წესით, რასაც დიდი დრო და შრომატევადი სამუშაოების შესრულება სჭირდება.

„მშენებლების“ საყურადღებოდ უნდა ითქვას, რომ „ნაბელდავი“ არის „ბორჯომის“ ტიპის წყალი, რომელშიც სასარგებლო მინერალები გაცილებით მეტია (სსრ კავშირის სახელმწიფო სტანდარტის გოსტ 17273-73, ქ. მოსკოვი — 1973 წ.). მასზე მოთხოვნილება ყოველდღიურად იზრდება. მინერალური წყლების სპეციალიზებულ მაღაზიებში ხშირად მოჰკრავთ ყურს: „ნაბელდავი“ გაქვთ? არც „ბორჯომი“? პარალელურად იზრდება აგრეთვე ნაბელდავში დამსვენებელთა რიცხვიც. „ჩვენ გვაქვს ათასი მიწები, რომ კიდევ მოვიდეთ აქ“, — აცხადებენ შორეული მხარეებიდან მოსული დამსვენებლები.

საინტერესოა, რას გვიპასუხებენ ტრესტ „საქკურორტმშენის“ მმართველი ფ. ი. გუჯეჩიანი და წყალტუბოს სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს უფროსი გ. ვ. აბუხანდაძე, თუმცა რედაქციამ ტრესტ „საქკურორტმშენიდან“ ასეთი პასუხი უკვე მიიღო: „... საკავშირო პროფსაბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს მიერ გათვალისწინებულია ობიექტის ექსპლოატაციაში გადაცემა 1978 წლის მეოთხე კვარტალში, რის გამოც 1977 წელს გათვალისწინებულია 500 ათასი მანეთის სამუშაოების შესრულება, ხოლო 1978 წელს — 445 ათასი მანეთისა.

ტრესტმა „საქკურორტმშენმა“, გაითვალისწინა რა თავისი შესაძლებლობანი, მიიღო გადაწყვეტილება, აღნიშნული ობიექტი საექსპლოატაციოდ გადასცეს 1978 წლის მესამე კვარტალში, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული მეოთხე კვარტალისა“.

იმედია, სიტყვას საქმე მოჰყვება, საქმეს კი „მუშავე წყალზე“ დამყავებული მშენებლობის გამოცოცხლება. ალბათ, არ დასჭირდებათ მშენებლებს ნაბელდავის „სურამის ციხეში“ რისიმე, ან ვისიმე ჩატანება.



— რას აკეთებ, კამო? — ნაწილები ვერ ვიშოვებ და აბა, რა ვქნა!

— ბანა თქვენი ლამაზი თვალბისთვის გაგაფორმეთ  
ოსტატის თანაშემწედ, ამხანაგო ჩაკებეჩაშვილო?!

— არა, მაგრამ გასული სამი თვის ხელფასი რომ...

— შეხედე, კაცო, ენასაც კი მიბრუნებს!

— ნუ გავიწყდებათ თეატრალური ინსტიტუტი რომ  
მაქვს დამთავრებული და დავწვამოსილი არტისტი ვარ!

— ეგ არ არის გასამართლებელი საბუთი. ცოცხალაშვი-  
ლმა, დამსახურებულმა ქორეოგრაფმა, ავტოკარის მძღოლად  
რომ ირიცხება, უკვე დადგა ცეკვა შემდუღებლური, მეწადური  
და დამკვრელური. კონსერვატორია რომ აქვს დამთავრებული  
და ზაკროიშიკად გაგაფორმეთ ჩვენთან, იმან სამი სიმღერა  
მოამზადა გუნდისა და ორკესტრისათვის, თქვენ კი?!

— სამი თვის კუთვნილ ხელფასს თუ...

— ჯანდაბას თქვენი სამი თვის ხელფასი!

— მე ცოლ-შვილი მყავს!

— ხელოვნება მსხვერპლს მოითხოვს! თუმცა, მე სხვა რამ  
მადარდებს, რატომ ჩაშალეთ ის პიესა?

— ორი მთავარი როლისა და თხუთმეტი ყაჩაღის შემს-  
რულებლები ვერ მიშოვია.

— როგორ, ამოდენა არტელში თხუთმეტი ყაჩაღი ვერ  
იშოვეთ? გრცხვენოდეთ, ჩაკებეჩაშვილო!

იმ დღეს დრამწერის ხელმძღვანელმა და არტელის დი-  
რექტორმა ბევრი ითათბირეს და გადაწყვიტეს, რადაც არ  
უნდა დაჯდომოდათ, დათვალეირებისათვის პიესა მოემზადე-  
ბინათ, თუნდაც თვითონ დასჭირვებოდათ იმ პიესაში თამაში.

ხალხით გაჭედილი დარბაზი მოუთმენლად ელოდა ფარ-  
დის ახლას. როგორც იქნა, მიიმე-მიიმედ გაიხსნა ხავერდის  
გრძელი ფარდა და სცენაზე ყაბალახებით პირაკრული, კბი-  
ლებამდე შეიარაღებული ორი კაცი გამოენთო. პარტერში და  
იარუსებზე ერთი ჩურჩული ატყდა. ვერ გაეგოთ, ვინ იყვნენ  
ეს მსახიობები, ასე ოსტატურად რომ ასრულებდნენ თავიანთ  
როლებს. ვიდაც უვიცმა ისიც კი წამოიძახა, თეატრებიდან  
მოუწვევიათ დამსახურებული არტისტებით და მათ პატივსა-  
ცემად დიდი ტაშის გრიალი შეიქნა. როცა ოჯაციები მიწყდა,  
მსახიობთა ხმა ახლა უფრო გარკვევით გაიხსნა:

— შენ დაბრუნდები ბანაკში, ბაჩან!

— მე არ დავბრუნდები ბანაკში!

დაკვირვებული თვალი შეამჩნევდა, რომ ამ უკანასკნელმა  
ის არა თქვა, რაც პიესის ტექსტის მიხედვით იყო გათვალის-  
წინებული, ხოლო მის პარტნიორს კი დაბნეულობისაგან ქვე-  
და ყბა აუცაცხცხდა.

— შენ დაბრუნდები ბანაკში, ბაჩან!

— მე არ დავბრუნდები ბანაკში!

— რატომ?

— სანამ სამი თვის ხელფასს არ მომცემთ, მე აქედან  
ფეხსიმომცვლელი არა ვარ!


— აჰა თქვენ სამი თვის ხელფასი და დაბრუნდით სას-  
წრაფოდ ბანაკში!

— ნება თქვენია, მბრძანებელო, არის დავბრუნდე!

ჩაკებეჩაშვილი გულდაგულ იტენიდა ჯიბეში ახლახან მი-  
ღებულ სამი თვის კუთვნილ ხელფასს და თითქმის სირბილით  
უახლოვდებოდა ჩაბნელებულ კულისებს.

ერთი კვირის თავზე არტელის დირექტორმა ყაჩაღთა  
ბანდის მეთაურის როლის საუკეთესოდ განასხიერებისათვის  
ქების სიგელი და ფასიანი საჩუქარი მიიღო, დრამწერის ხელ-  
მძღვანელმა, დიპლომიანმა არტისტმა, ჩაკებეჩაშვილმა კი —  
სამსახურიდან მოხსნის ბრძანება.

თამაზ ჭიშვილი



მსხვერპი

## მუხის ზიპილი

ხე — შნო და ეშხი მთის, ხეობის თუ ბარის,  
მუხის ქვეშ ხალხივით ათასნაირი არის.  
მაგრამ მე სხვა ვარ, — ზიპბედნიერი მუხა,  
არსობას ჩემსას თან სდევს სიკეთე უხვად!

გლეხკაცის მცირე გარჯა, და არა ჯაფა,  
და აქცევს ჭია ჩემა ფოთოლს ოქროს ძაფად,  
ძაფად, რომლითაც შობილ ქსოვილთა მოღას  
ხელს ვერასოდეს ვერ ჰკრავს ადამის მოღმა,

ადამიანთან არც ნაყოფით ვჰამ სირცხვილს,  
რკოს სარგებლობა ბალომაც კი კარგად იცის.  
მე, სამწუხაროდ, ბუხრის ეშხადაც ვიშვი,  
მაგრამ საწვავად მიმეტებს მხოლოდ გიჟი.

ძველდროიდანვე ვატყვევებ კაცის მზერას,  
როცა სახლს ვმევენი იატაკად თუ ჰერად.  
როცა ვიქცევი მაგიდად, კიბედ, სკამად,  
საუკუნოდ რომ ვფასობ და არა წამად.

ღიას, მე ორი სიკოცხლე მამკობს დღემდე:  
ერთი მოჭრამდე, მეორე — მოჭრის შემდეგ.  
და მწყინს (სათქმელი გულში სანამდე ვგუბო?)  
რომ ამ ბოლო დროს ჩემგან კეთდება...

მერე რამდენი! ბევრად იმაზე ბევრი,  
რამდენიც ძველ დროს კალოს შვენოდა კევრი.  
ასე რომ მხარჯოთ, ნასტუმრალ მგზავრებს სოფლის,  
გასაცილებლად ნამდვილად არ ვეყოფი.

სასაყვედუროდ კრინტს არ დავძრავდი, მენდეთ,  
რომ გარდასულებს იოტისოდენს ვრგებდე.  
რომ ვითვლებოდე ისეთ ჯადოსნურ ფიცრად,  
ძალმიძდეს თუნდაც არგადაქცევა მიწად.

კვლავ ვთხოვთ, თუ მომჭრით, მაქიცოთ კიბედ და სკამად,  
საუკუნოდ რომ ვფასობ და არა წამად.



**პითარცა** დედამიწა მზის გარშემო, მეც მისებრ ვბრუნავდი ჩვენი მასპინძლის ორასვატიანი ნათურებით მოჭედნილ-მოჩახჩახე ჭადის ქვეშ. ახლა ისეთ იშტაზე მოვედი, ნაღდად ვამჩნევ დედამიწის ბრუნვას. აფსუს, ჯორდანო ბრუნოს რომ არ შეეცნო, ჰაა?

— აფსუს, რა მალე დაითრო! — ჩემკენ მაცქერალმა თამადამ აპოიოხრა.

— აფსუს, რა ღვიწხს აფუქებს! — ლამის აქვითინდა მასპინძელი.

რალაცაზე გული ამიჩუყდა და ჩემს მშობლებს მენიასავით გამოვუცხადდი სოფელში. ვაშლის ხის ქვეშ ჩემიანებს კარგა ხანს ვესაუბრებოდი ქალაქში ჩემს უფულობაზე. მოულოდნელად გადამიფებულნი ვაშლი დაძვია თავზე. პირისახე უხარისხო ტორტივით გამიხდა. დედაჩემი ავიშვიშდა:

— აფსუს, ძლივს ჩამოვიდა სოფელში ამის შემდეგ ამას რაღა ჩამოიყვანს?

მამაჩემმა სინანულით ახ და ვაშლის ხეს:

— აფსუს, ვაშლის დამკრეფი არა მყავს!

მე კი გავნაწყენდი იმაზე, რომ ამ ვაშლის პაპისპაპას უკვე მოესწრო ვინმე ისავე ნიუტონის თავზე დაკემა და გრავიტაციის კანონის გათქმა.

აფსუს, რა უბრალოდ ჩაიარა საგენიოსო შემთხვევამ?

იმ დღესვე სოფლიდან მატარებლით წამოვედი. ჩემს თვალწინ ტელეფონის ბოძები გარბოდნენ. ჩვენ რატომ მივქრით? ეს ხეების, სახლების, ბოძების ბრალია. რომ არ არსებობდეს ტელეფონის ბოძები და სხვა, ჩვენ ვერ გავიგებდით სოფლიდან დაცილებას. **ჰო, მარ** თლა, ამაზე ალბერტ აინშტაინმა თავის ღროზე იმსჯელა და სამსახურის საათების პერიოდში, მოვალეობის არადანიშნულისამებრ, გაკრული ხელით, რამდენიმე გვერდზე დაწერა ფარდობითობის თეორია.

აფსუს, რატომ ადრე არ გიყავით: მე, ტელეფონის ბოძები და სხვა სხეულები! მატარებელი უტაბედად დამუხრუჭდა. მე ვილაც სიმპათიურ, გათქვირებულ ქალბატონს ვებდღვენი, იგი წივილ-კივილით შემებრძოლა. მე-ვილიმუბოდი.

— რა ვაცინებს, შე თებერვლის მთვარეულო?!

— ქალბატონო, ნუ ჯაკრობთ. ეს



(იუმორისტული თეორიები)

ინერციის კანონია! — ავუსხენი სიტუაცია.

— უზრდელობის კანონს უფრო მიემგვანება!

— აფსუს, ძველი სიტყვა-პასუხი!

„აფსუს, ინერციის კანონი უკვე შექმნილია, თორემ ამათ ვაჩვენებდი ჩემს დაფნის გვირგვინებს!“

ახაზდად, ჩვენი ვაგონის ფანჯარაში დიდრონი ქვა შემოვარდა, შუბლში მეტგერა, კეფა ვაგონის კედელს ვთხლიშე. ქვის სიჩქარემ ჩემი თავის პოტენცია-

ლური ენერგია კინეტიკურ ენერგიაში გადაიყვანა, რითაც დიდრონმა ქვამ ტრაექტორიის მიმართ მიიღო ნულოვანი სიჩქარე და დაემორჩილა გრავიტაციის კანონს. ხოლო მანამდე უტაბედად სხეულმა, ე. ი. ქვამ, ვაგონის ფანჯარის შუშის სიმტკიცე ნულოვანზე დაიყვანა, ე. ი. გახვრიტა!

პრობლემა: შეიქმნას ვაგონებისათვის ისეთი მინები, რომელთაც ექნებათ მაღალი დრეკადობის ზღვარი და არეკვლის დიდი კოეფიციენტი. სიგმა შუშისა მეტი უნდა იყოს სიგმა ქვაზე. ეს კანონი არავის არ აღმოუჩენია!

— აღმოვაჩინე!

ხალხი გაცხებული მიყურებდა თავპირგასისხლიანებულ სახეზე. მე ქალაქებზე, „ყაზბეგის“, „პრიმას“ კოლოფებზე, ხელის საწმენდ ფურცლებზე ვწერდი კაცობრიობისათვის უცნობ ფორმულებს.

ვილაცამ ჩაიღინა მკრეხელობა, ხელი ჩამავლო მტევანზე, გამომტაცა ფორმულებიანი ქალაღი, მერე აღარაფერი მახსოვს. თვალები საავადმყოფოში ავაკვარკვალე.

— აფსუს, მაშინვე რომ მიგეხედათ, ტვინის შერყევა არ დაემართებოდა! — თქვა ნეიროქირურგმა.

— აფსუს, წინათ სად ნახავდით მატარებლის ვაგონებში ქვასროლია ბიჭბუჭებს?!

— აფსუს, — ვთქვი მე.

ამაზე ნეიროქირურგმა პირზე ხელი დამაფარა:

— შენ აზროვნებაც კი გეკრძალება!

მე მაინც იღუმალ ვამბობდი: „აფსუს, რა ფორმულები გამომტაცეს ხელიდან! ახლა როგორღა აღვადგინო?“

**ტელეპათიური ჩანაწერი შეასრულა აპთანდილ ადვიშვილმა**



— კომბინატორებთან ბრძოლა დაშთავრდა, თუ ისევ დაკვიპალო ჩემს ვილაში?!

# თუთიყუვი

ისე თუ ასე, ბულბულის ფასი ჩვენ ყველას გვესმის. ხმა იადონის, მივხვდებით, მგონი, არ ჰგავს ხმას მერცხლის.

მსმენელი ყველა გაარჩევს ხელად შაშვსა და კაკაბს. ხმას ბუს და მტრედის, სულელის მეტი, ვინ არეგს, აბა?!

ჭოტი რომ კივია, მისი ხმა ცივი თითქოს სულს კორტნის, არ მოგვწონს, ვინძლო,

მაგრამ ხომ ვიგრძნობთ, რომ ხმაა ჭოტის?

მაგრამ, მითხარით, რამე თუ არის იმაზე მეტი: სასჯელი უფრო, წამება უღვთო, დაცინება ბედის —

ბაძავედ სხვათა კილოს თუ ხმათა, ტყუილს თუ მართალს. იმეორებდე სიკვდილის დღემდე სულ სხვათა ნააქვამს!

**ნოდარ ჯალალონია**



სტოქჰოლმის ახალმა მოწოდებამ ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ  
დასაბამი მისცა მსოფლიო მასობრივ კომპანიას მშვიდობისათვის.  
მოწოდებას უკვე ხელი მოაწერა მილიონობით ადამიანმა. ხელმოწერათ,  
რაცხვი ყოველდღიურად იზრდება.

# სტოქჰოლმის ახალი მოწოდება

